№ 2841
შაბათი
11 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2841
შაბათი
11 ივნისი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა.

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ელენე, დედ-მამა თავადი გრიგოლ სიმონის ძე და მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი და მამიდები კნეინები ნინო ჩიქოვანისა და მარიამ დადიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—6.—2)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე

რასაც განსვენებული ამხანაგები აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს დილის 9 საათზე. (3—6.—2)

კვირას, 12 ივნისს ს. სასირეთში დილის 10 საათზე, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თავ. მიხეილ ელიზბარის ძის შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილი მისი და დები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1)

ივნისის 12 „ბელვიუს“ ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ
საქველმოქმედო ბაზარი
მაიღება შემოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუდარებლად. (0—48)

საპედაგოგიო საბჭო
ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—5)

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).
სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(ივ.—6.—22) პატივის ცემით ვანო.

მეორე საზოგადო კრება
ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადოებისა

დანიშნულია 19 ივნისისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები: ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ქონებრივი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. შესვლისას წარდგენილ უნდა იქნას საწევრო ბილეთი.

შენიშვნა: იმ წევრებს, რომელთაც არ შეუტანიათ ყოველთვიური გადასახადი, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს. (3—6.—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
პირებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძვილისა № 12.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—6.—25)

სახალხო წარმოდგენა
ტყის სახლი „მუშტაიდის“ ბაღში.
ყოველ კვირაობით და უქმე დღეობით
შესაძლებლად ვცანი ვაჩვენო ხოლმე საზოგადოებას ჩემი სურათები, ამიტომ ვნიშნავ განსაკუთრებულ **სახალხო წარმოდგენას** 12-დან 5 საათამდე, ყოველ საათს შემდეგ. ფასი 10 კაპ. 6-დან ღამის 12 საათამდე-კი ყველასთვის ჩვეულებრივის ფასით. რეპერტუარში მრავალი ახალი სურათია. საღამოს 9 საათიდან დიდებისთვის—კომიკური და პარიჟის ჟანრის სურათები. წარმოდგენა შესდგება სამის განყოფილებისაგან.
(1—259—1) ს. ი. ივანიცკაია

გაილო რესტორანი ბაღით
„კავკაზი“
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე.
(15—244—6)

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდების ქ № 26. (20—6.—11)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—22)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
8 ივნისი.

ბერლინი, 8 ივნისი. სარწმუნო პირთა აზრით, ლინევიჩს ნელ-ნელა მიჰყავს ფრთები ძლიერ გამაგრებულ ცენტრისკენ, არა აქვს განზრახვად ხარბინისაკენ დახევა და, როგორც ეტყობა, არ გაექცევა ბრძოლას.

სიმლა. ინდოეთში დიდი სენსაცია მოახდინა კიტჩენერის მინდობილებათა გაფართოებამ; ამას უცქერენ, როგორც ძლიერს დამცირებას მეფის თანაშემწის ავტორიტეტისას.

ბერლინი. საფრანგეთის ელჩმა ნოტა ჩააბარა გარეშე საქმეთა სამინისტროს. „ლოკ. ანცაი.“-ი ოფიციალურად აღნიშნავს, რომ კრიზისი არ გათავებულა ჯერ. თუ რუვიემ არ დაუთმო, მაშინ გერმანია პირდაპირ მაროკოსთან გამართავს მოლაპარაკებას.

ვარშავა, 8 ივნისი. ეგრედ წოდებულ ღვთის სხეულის დღესასწაულზე უცბათ აღიაქოთი ასტეხა ჩვეულებრივ ლიტანიის დროს. 5 კაცი დაჭრილია, ზოგიც დაშავდა. ქუჩაში დარჩა აყარებული ქოლგები, ლოცვანები, შლაპები და ჯოხები.

სუმი, 3 ივნისი. მაზრაში 200 ყაზახი გაგზავნეს.

მოსკოვი, 8 ივნისი. კავშირთა კავშირმა დაარსა [illegible] სამოქალაქო გაფიცვის საორგანიზაციო განსაკუთრებული კომიტეტი. კომიტეტი გადაწყვიტა არ მოახდინონ ეკონომიური გაფიცვები. ქალაქის თავთა სიეზდში მონაწილეობას 92 ქალაქის მოურავები და 130 საბჭოს წარმომადგენელნი მიიღებენ. შუა ივნისში მოსკოვში შეიკრიბებიან ავადმყოფ და დაჭრილ მეომართა დახმარების საერობო ორგანიზაციის წარმომადგენელნი. პროექტი შექმნა იმის შესახებ, რომ აღარ გაიღოს ერობამ ფული ომის საჭიროებისათვის, გამოიწვიონ ყველა საერობო ორგანიზაციები ომის ასპარეზიდან და ყველაფერი, რაც ომის საჭიროებისათვის იყო მზადდებოდა, ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ აქციონ. ამავე მიზნით მოიწვევენ საბჭოთა საგანგებო სხდომებს ქალაქის თავთა სიეზდის შემდეგ.

გოდლოვი, 8 ივნისი. თავმჯდომარემ შესწყვიტა 18 თებერვლის ბრძანების შესახებ კითხვის განხილვა; სხდომა დაიხურა.

კელცი. ახლო-მახლო ადგილებში ცინგის მალანი აღმოჩნდა.

ვარშავა. ტყუილია ჩენსტოხოვში ბომბით პოლიცმეისტრის დაჭრა.

ბორისოვი. მანის ქარხანაში გაიფიცნენ მუშები შეიარაღებულ აგიტატორების მუქარის გამო. დაგლიჯეს ტელეფონის მავთულები. განზრახვა აქვთ დახურონ ქარხანა ერთის თვით.

პარიზი. ირწმუნებიან, რომ, რუვიე, მოჰყავს რა ისტორიული მხარე საკითხისა, დასკვნის, რომ საფრანგეთი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია მაროკოს შესახებაო. ნოტაში არ არის მოხსენებული, თანახმაა თუ არა საფრანგეთი საერთაშორისო კონფერენციაზე.

კლივლენი. მონტერთან ლიანდაგიდან გადავარდა ხალხით გაჭედილი მატარებელი, რომელიც სულ ნამცეცებათ იქცა. 13 მგზავრი დაიხოცა, 20-ეც დაიჭრა.

ათინა. ახალ სამინისტროს დასაარსებლად გამართული მოლაპარაკება შესწყდა რალლისა და ახლანდელ მინისტრთა შორის უთანხმოების გამო.

ეგორიევსკი, 8 ივნისი. დღეს დიდი ცეცხლი გაჩნდა ღარიბ ხალხით დასახლებულ განაპირა ადგილებში.

პეტერბურგი, 9 ივნისი. ოფიციალური. საგლეხო მიწათ-მოქმედების კომისიის მერვე სხდომაზე, სხვათა შორის, ილაპარაკეს შინამრეწველობაზე. მთავრობას დიდი მზრუნველობა მართებს ამ დარგის განვითარებისათვის. შინამრეწველნი უზრუნველი უნდა იყვნენ ტეხნიკის მხრივ და უნდა დაარსდეს როგორც სამუდამო, ისე მოძრავი სახელოსნოები, სადაც უნდა ასწავლიდნენ მასალის საუკეთესოდ დამზადებას. უნდა მიიღონ ზომები, რათა შინა-მრეწველებს გაუადვილდეთ ნაწარმოების გასაღება მყიდველებთან შუამდგომლობით და აგრეთვე საწყობების გახსნით და იაფ კრედიტის მიცემით. მეცხრე სხდომა 10 ივნისს იქნება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
8 ივნისი

ვაშინგტონი, 8 ივნისი. ელოდებიან, რომ ამ დღეებში გამოაქვეყნებენ, რწმუნებულებად ვინ იქნებიან დანიშნული.

ლონდონი. ლონდონის თეატრ „ალჰამბრი“-ს დირექტორებმა წინადადება შეიტანეს, ერთის წარმოდგენიდან შემოსული ფული იაპონელების მეზღვაურ სალდათების ქვრივ-ობლებს შევწიროთო. იაპონელებმა განაცხადეს, იმ შემთხვევაში მივიღებთ ჩვენ ამ შემოწირულებას, თუ ის თანასწორად იქნება გაყოფილი, როგორც ჩვენის, ისე რუსების ქვრივ-ობოლთა შორისო. ამგვარად სპეციალური განკარგულება უნდა მოხდეს, რათა რუსებსაც გაუნაწილონ შემოწირულება.

ლონდონი. კიტჩენერის პლანები ბროდრიკის მოხსენებით შემდეგში მდგომარეობს: 1. ინდოეთში უნდა იყოლიონ ინგლისმა მშვიდობიანობისა და ომიანობის დროსაც ცხრა დივიზია ჯარი და ამასთან უნდა გადაიდვას ჯარის სარჩენი ხარჯი ერთი წლის განმავლობაში, რადგა იგი მინდვრებში იქნება გასული; 2. გადიდდეს საველე ჯარების რიცხვი 80 ათასიდამ 140 ათასამდე; 3. დაწესებულ იქნას მასალების მოსამზადებელი ქარხანა 15—20000 მდე მუშით; განზრახვა აქვთ გახსნან ზარბაზნების ქარხანა 1906 წ. კოსიპურში და თოფების ქარხანა ისსაპურში.

როსტოვი დონზე, 9 ივნისი. საბჭომ განიხილა მოქალაქეთაგან შეტანილი საჩივარი პოლიციისაგან და ყაზახების მიერ ხალხის ცემის შესახებ 11 აპრილს. გუშინ ერთხმად დაადგინა საბჭომ იშუამდგომლოს გაძლიერებულ დაცვის გაუქმების შესახებ.

პეტერბურგი. 9 ივნისს ხელის მოწერა გამართეს პეტერბურგის ვაჭრებმა ორ ჯავშნოსნის გასაკეთებელ კაპიტალის შესაგროვებლად.

მოსკოვი. მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორმა ვერ ჰპოვა დანაშაულის ნიშნები, რომლების ძალით შესაძლებელი იყოს „მოსკოვსკია ნედელია“-ს რედაქტორის-ს პასუხის გებაში მიცემა.

ვილნო, 9 ივნისი. გუშინ დვინსკის სამხედრო სასამართლოში განიხილეს საქმე, ომიანობის დროის წესების მიხედვით, მუშებ მაკოვსკისა, პერელმუტენისა და შტეიმანისა, რომელთაც დვინსკის პოლიცმეისტრის თანაშემწე ბულიგინის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდათ. პერელმუტენის საქმე არ გაირჩა მისის ავადმყოფობის გამო; მაკოვსკის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, შტეიმანი კი გაამართლეს. დამცველთ განუცხადეს სასამართლოს, უდანაშაულოა დასჯილიო. ყველა 6 დამცველმა პირადს და პროფესიონალურ პატიოსნებაზე დაიფიცეს, დაამტკიცეს თავიანთი განცხადება.

ყაზანი, 9 ივნისი გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „რუს პრავოსლავნაია ი სამოდერჟავნაია“-სი.

ბერლინი. საფრანგეთის მთავრობა საჯაროდ სცნობს, რომ მაროკოს საზღვრების ჯარები ფრანგ-აფიცრების უფროსობის ქვეშ იყვნენ და დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული როტები ფრანგ-უნტერ-აფიცრებით. აქ ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, რომ ნოტას შეთანხმება არ მოჰყვებაო.

ბუდაპეშტი. ფეიერვარი არ განებებს სამსახურს თავს, მიუხედავად მისდამი გამოთქმულ უნდობლობისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. რუზველტის ცდამ ამაოდ ჩაიარა, მისი წინადადება დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ არ მიიღეს. სამხედრო პარტიამ ისევ მოიპოვა ძველი გავლენა პეტერბურგში; გენერლებისა და „პატრიოტების“ ბაქიობამ გასჭრა და ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია უდიდესი შეტაკება რუს-იაპონელ ჯარებისა, თუმცა შინაურ პოლიტიკაში გართული წარჩინებული პირები წინააღმდეგნი არიან ომიანობის განგრძობისა: ომის განგრძობა დიდათ მავნებელია არსებულ რეჟიმისათვის, რადგან, იაპონიაც რომ მოიქანცოს და საშუალება არ ეყოს ომისათვის, რუსეთი მაინც ვერ გაიმარჯვებსო —ორგანიზაციის უვარგისობას, ჯარის კაცებისა და აფიცრების უვიცობას ისევ დამარცხება მოჰყვება შედეგად და დამარცხება კი ამცირებს არსებულ წესწყობილების პრესტიჟსო. („ბ. ვ.“).

ზავი და შინაური პოლიტიკა. „გრაჟდანინ“-ში ვკითხულობთ: „შინაური რუსეთი ინგრევა, იხრწნება, ამას ყველა უნდა ხედავდეს და გრძნობდეს. გარდა შეურიგებელ მტრისა, ყველას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ყოველი წამი ამ ომისა აძლიერებს რუსეთის სულიერ გახრწნას... თუ მთავრობას სურს შეირჩინოს ძალა რუსეთში წესიერების დასამყარებლად, უნდა მოსპოს ომი, რადგან უამისოდ მთავრობას ძალა არ ექნება“.

თავად მეშჩერსკის აზრი ცხადია: მას შეუძლებლად მიაჩნია ორ ფრონტზე ბრძოლა. მეშჩერსკი იმიტომ თხოულობს ზავს გარეშე მტერთან, რომ გაიმარჯვოს შინაურ მტერზე, დაუბრუნოს მთავრობას ძალა და რუსეთს „წესიერება“. მაშინ, ასაკვირველია, ხალხის წარმომადგენლობა, რუსეთის ვითომდა დასამშვიდებლად მოგონილი სათამაშო, სრულიად საშიში აღარ იქნება არსებულ წესწყობილებისათვის.

არის სხვა შეხედულებაც. ერთ გავრცელებულ ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია საკონსტიტუციო დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლის წერილი ამავე საგანზე. წერილის ავტორის აზრით, ბიუროკრატიას არ შეუძლია მისცეს რუსეთს სასურველი პირობები ზავისა. ეს შეუძლია მხოლოდ მართლა ძლიერ მთავრობას. „ძლიერი მთავრობა კი მხოლოდ ისეთ მთავრობას დაერქმევა, რომელსაც ზნეობრივი ავტორიტეტი აქვს თანამედროვე რუსეთში ამ ავტორიტეტს შეიძენს მხოლოდ ის მთავრობა, რომელიც მომხრე იქნება ღრმა პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმებისა და მოინდომებს ამ რეფორმების განხორციელებას. მხოლოდ ასეთ რეჟიმს შეუძლია დაუბრუნოს რუსეთს ნორმალური ცხოვრება. ბიუროკრატიას ეს არ შეუძლია. შინაურ არევდარევის მიზეზით ბიუროკრატიას არც ზავის ჩამოგდება შეუძლია და არც ომის განგრძობა.“

თავადი მეშჩერსკი მართალი არის, როცა ამტკიცებს, რომ უმიზნო უბედური ომიანობა სახელს უტეხს მთავრობას; ისიც მართალია, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ერთზე. მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ ბიუროკრატია შესძლებს მოსპოს განმათავისუფლებელი მოძრაობა და სათამაშოდ გადააქციოს ხალხის წარმომადგენლობა, საბუთიანი არ არის.

მეორე მხრივ ჩვენ ვეთანხმებით მეორე წერილის ავტორს, რომ მხოლოდ პოლიტიკურად და სოციალურად განახლებულ რუსეთს შეუძლია იშოვოს ისეთი ზავი, რომელიც მისაღები იქნება და არ გააკოტრებს რუსეთს. მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ომის ლიკვიდაცია გამოიწვევს ბიუროკრატიის ლიკვიდაციასაც. ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ ბიუროკრატიამ მიიღოს რუსეთისათვის მეტად მძიმე საზავო პირობები და თანაც ფეხზე დარჩეს და სძლიოს კიდეც შინაური მტერი. ამის პრეცედენტები არა ერთი ყოფილა. 1878-ში დამარცხებული ოსმალეთი თავის ყოვლად უვარგისს სამთავრობო მექანიზმით არ დაადგა რეფორმების გზას მიუხედავად დამარცხებისა; ესპანია-ამერიკის ომმა ვერ განაახლა ესპანია, მიუხედავად ისეთისავე უეჭველ დამსხვრევისა, როგორიც არის რუსეთის დღევანდელი დამსხვრევა, მიუხედავათ იმისა, რომ ესპანიის კლერიკალ-რეაქციონურ რეჟიმს თვისი დღენი მოქმული ჰქონდა. ჩინეთ-იაპონიის ომმა და ევროპის ექსპედიციამ დღემდე ვერ გამოაღვიძეს ჩინეთი.

საიდან წარმოსდგება სრულიად მოძველებულ და ყოვლად უუნარო პოლიტიკურ-სოციალურ წესწყობილებს ასეთი ნიჭი სიცოცხლისა? იქიდან, რომ ეს ძველი ფორმები ისპობა მხოლოდ ცოცხალ საზოგადოებრივ ძალთა იერიშით. თუ საზოგადოებრივ ისტორიულ პროცესს არ შეუქნია ეს ძალები, ორგანიზაცია არ მიუცია მათთვის და პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე არ გამოუყვანია, მკვდარი ფირმები სცოცხლობენ და ჰკლავენ და ღუპავენ ყველაფერს, რაც-კი ცოცხალია... ასე იღუპებიან სახელმწიფოები. ახლო მომავლის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ვიცით საზოგადოებრივ ძალთა სიდიდე, ენერგია და ორგანიზაცია. თავად მეშჩერსკისა და მეორე წერილის ავტორის შეცდომა ის არის, რომ უყურადღებოდ სტოვებენ ამ მომენტს. შესაძლებელია, რომ ბიუროკრატია ვერ მოერევ „შინაურ მტერს“ ზავის ჩამოგდების შემდეგაც საკუთარის დემორალიზაციისა და პოზიციის ძალის მიზეზით, ისიც შესაძლებელია, რომ პროგრესიული საზოგადოებრივი ელემენტები დამარცხდეს, ზოგი ორგანიზაციის უქონლობის გამო და ზოგიც იმ იწმენის გამო, რომ ვითომ ბიუროკრატიული წესწყობილება შეუძლებელი გახდა და თავისით მოისპობაო.

ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ „გრაჟდანინ“-ის ახლობელ წრეებში ომის გათავებას უცქერიან, როგორც პრელიუდიას შინ წესიერების“ დამყარებისათვის. თუ რას ნიშნავს ეს, რუსეთში ყველამ იცის.

ვინ შერცხვა?

ასეთის სათაურით დაბეჭდილია „ნოვოსტი“-ს გუშინდელ №-ში მ. ენგელგარდტის წერილი იმის შესახებ, თუ ვინ დაამცირა, ვინ შეარცხვინა ახლანდელმა ომმა. რუსული რადიკალურ-ლიბერალური გაზეთები სულ იმას გაიძახიან, ყველა ჩვენს უბედურებაში ბიუროკრატია არის დამნაშავეო; ხალხი ჩვენი არ დამარცხებულა, არ შერცხვენილა,—დამარცხებული და შერცხვენილი მხოლოდ და მხოლოდ ბიუროკრატია არისო. ამ საერთო ღაღადს არ ეთანხმება ბ-ნი ენგელგარდტი. „ეს იმდენად ღრმა აზრია,—ამბობს ავტორი,—რომ მე ვერ გამიგიაო“. მოგვყავს აქ ბ-ნ ენგელგარდტის მოსაზრებანი, რომლებშიაც სიმართლე ბევრია.

ყველაფერი რომ ბიუროკრატიას მოახვიეს თავზე, რატომ არ იკითხავენ ერთხელ მაინც: ვინ მისცა ბიუროკრატიას ნება ჩვენი

ძალა დაელპო? ვინ, თუ არა რუსის ერმა? მაშ, სირცხვილიც რუსის ხალხს უნდა დაატყდეს თავს. განა სულ ერთი არ არის—მე მივუშვერ თავს საცემად თუ სხვა წამავლებს თავში ხელს და აცემინებს ჩემს თავს, მე-კი ხელსაც არ გავანძრევ საწინააღმდეგოდ?! იაპონია გვცემს ჩვენ—რუსის ხალხს და არა ბიუროკრატიას. რუსის ერს ამარცხებენ ყოველ დღე; ამარცხებენ ხმელეთზე და ზღვაზე; მისი ჯარი შიშით გაურბის ძლევამოსილ მტერს და ხელში უტოვებს ზარბაზნებს; მისი ფლოტის ერთი ნაწილი ზღვაში დაიღუპა, მეორე—სანეიტრალო პორტებში შეიხიზნა და მესამე—მტერს დანებდა. ბიუროკრატია აქ რა შუაშია? იმან რა დაჰკარგა? ყველაფერი რუსის ხალხს მოხვდა, ყველაფერი მან დაჰკარგა. ბიუროკრატია კი არა, რუსეთი გადიქცა მესამეხარისხოვან სახელმწიფოდ და გვერდში ამოუდგა ოსმალეთს.

რასაკვირველია, შეიძლება ასედაც ვთქვათ: გარეგანი სიგლახაკე შინაურ სიგლახაკის ბრალია; სირცხვილი, შერცხვენა სწორედ იმაშია, რომ ეს შინაური სიგლახაკე გამომჟღავნდა მთელის ქვეყნის თვალწინ. მაგრამ ესეც არ არის კარგი. ადამიანს, ვთქვათ ასე, მუნი დაემართა, მუწუკები გაუჩნდა; სხვები ჰხედავენ, რაღაც ცუდი ემართებაო, მაგრამ ფიქრობენ: ეს არაფერია, ისე გამოუყრია, შიგნით-კი ძლიერია, მაგარი და ჯანმრთელიო. მაგრამ აი ერთი შემთხვევა და აღმოჩნდა, რომ ადამიანი სულ დამპალი ყოფილა; მაშინ ყველანი უთითებენ მას და ამბობენ: „ვა! შეხედეთ, მართლა მუნიანი ყოფილა; ჩვენ-კი ყოჩაღი და მაგარი გვეგონაო“. ასე მაგარი ვეგონეთ ყველას და ახლა დაინახეს, რაც ვყოფილვართ. გარედ რაც დაგვემართა, ხომ ვხედავთ; შინაც უარესად შევრცხვით. არ გაგონილა ჯერ ისტორიაში, რომ ბავშვების ამოწყვეტა განეზრახოსთ. ჩვენში-კი გაზეთებიც არიან ისეთები, რომელნიც ჰქადაგობენ გიმნაზიელების, სტუდენტების, ინტელიგენტების ამოწყვეტას. კიდევაც ჟლეტენ ინტელიგენტებს, ბავშვებს... ამაზე მეტი სირცხვილი შეიძლება? აბა მითხარით, სად შეუდგენიათ სხვაგან „შავი რაზმები“ თავისავე მოძმეების ამოსაჟლეტად?!.

მაგრამ ამ შინაურმა სირცხვილმა განა უნდა დაგვავიწყოს ის, რაც გარედ დაგვემართა? მე არა ვარ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის მომხრე: ყოველთვის ბუნების წინააღმდეგ მოვლენად მიმაჩნია თავისუფალ საფრანგეთისა და დესპოტიურ რუსეთის ერთობა; მაგრამ ეხლა, როცა საფრანგეთმა ზიზღით ზურგი მოგვაქცია და ამბობს, ღირს განა ამ გლახაკთან კავშირის შეკვრაო, მე აღარ შემიძლია არ ვიგრძნო საშინელი დამცირება. თუ კიშინევსა და ჟიტომირში ებრაელთა ამოჟლეტა ამცირებს ჩვენს ერს (ამაში ხომ ყველანი დარწმუნებულნი ვართ), ცუსიმასთან დამარცხებაც ხომ ასეთივე სირცხვილია ჩვენთვის. სირცხვილია მთელის ხალხისთვის და არა ბიუროკრატიისთვის. ბიუროკრატია განა რასმე გრძნობს? როგორც უდარდელად ომი გამოაცხადა, ისე ახლაც უდარდელად მშვიდობაზე მასლაათობს. გუშინდელი ბაქი-ბუქი, ტრაბახობა დაავიწყდა და ეხლა, თითქო არაფერიაო, ღიმილით ამბობს: მშვიდობიანობასაც მე დავამყარებ, არავის არ დავეკითხებიო...

მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ასეთს ტრაგიკულს მდგომარეობაში, სხვებიც ყოფილან იძულებული, თავის სამშობლოსათვის სამარცხვინო დამარცხება ენატრებინოთ. სამშობლოს მოყვარულსა და კეთილის მსურველს ფრანგს არ შეეძლო გერმანიაზე გამარჯვება ესურვა ნაპოლეონ მესამისთვის; არა, მას ჰსურდა საფრანგეთი დამარცხებულიყო, რადგან ეს ნაპოლეონის ბიუროკრატიის დამარცხება იქნებოდა, მაგრამ ამავე დროს ეს ფრანგები გრძნობდნენ სირცხვილს, გრძნობდნენ იმდენად, რომ ერთი დღეც ვერ მოითმინეს ნაპოლეონის რეჟიმი და დაანგრიეს იგი. ჩვენ-კი ასეთს სირცხვილს არ ვგრძნობთ. ჩვენს ქვეყანას თითქო არც გარედ და არც შინ მომხდარ ამბების არა რცხვენია. ავიღოთ თუნდ ეს დაუსრულებელი გაფიცვები: აქ კვირას დასვენებაო, იქ სამუშაო დღის შემცირებაო და სხვა და სხვა. მეკანტორეები, ნოქრები, პარიკ-მახერები, ლაქიები, ყასპები, ზოგან ბატონნი მეეზოვენიც-კი, ზოგან კიდევ პოლიციელები, ერთის სიტყვით, ყველანი მხოლოდ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ; კარგსაც შვრებიან, რასაკვირველია, მაგრამ განა მარტო საკუთარი გაჭირვება და საჭიროება უნდა გვახსოვდეს, როცა ქვეყანა განსაცდელშია?! ადიდებული მდინარე პატარ-პატარა წყაროდ გადიქცა და ლამის სულ დაშრეს...

ქვეყანა სირცხვილს არ გრძნობს; არც შინ, არც გარედ არ ჰხედავს, რა უბედურება დაატყდა თავს. ამიტომაც ბიუროკრატია ისევ აღფრთოვანდა სულით. აღარაფრის არ ეშინია—მიტხად ფაშისებურის კონსტიტუციისაც-კი არ ეშინია. ამბობს: მოიწვიეთ ხალხის წარმომადგენლები, ვნახოთ რას დამაკლებსო!.. ერი უმოძრავოდ არის, არაფერს არ გრძნობს და, რასაკვირველია, ბიუროკრატიამაც თავი მაღლა ასწია.

არა, ბიუროკრატია-კი არ არის შერცხვენილი, „ჩვენა ვართ, მთელი რუსის ერი. უაზრობაა ვიძახოთ, მხოლოდ ბიუროკრატია შერცხვაო. ჩვენ თვითონ არ მივეცით ნება შეგვარცხვინოს?! განა შეიძლება ითქვას: გრინგმუტმა შეირცხვინა თავიო? რასაკვირველია, არა: გრინგმუტები რუსეთს არცხვენენ. განა შავი რაზმი თავის თავს არცხვენს? არა და არა, იგი რუსეთს არცხვენს. შერცხვენილია რუსეთი, რუსის ხალხი და იმდენად ძლიერად არის შერცხვენილი, რომ შეუძლია სთქვას: შეძრწუნდა სამოსელიცა ჩემი!“..

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“, № 148).

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით 31 მაისს ტფილისის სასულიერო სემინარიასთან მომხდარ ინციდენტის გამოსაძიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდელოების კრების თავმჯდომარე ბლაღოჩინი კრ. ციცქიშვილი და საქართველოს ეგზარხოსის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.

ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდელოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც კრებაზედ დიდი უწესოება და მღელვარეობა გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გასვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდელოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარეშე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და, მამა რექტორის თხოვნის თანახმად, მივიდა მის ბინაზედ. აქ, ორის მღვდლის თანადასწრებით, მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულს ნაბიეკოვს, რომ სხდომაზედ წრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თვითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გაგებული მაქვს სამღვდელოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებაო. ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდლის შვილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და წარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიეკოვს, რომ შენობისთვის თვალ-ყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდელოება. ამასობაში სემინარიასა და პუშკინის ბაღს შუა თავმოყრილ სამღვდელოებისა და კერძო პირთა შორის მღელვარება თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლულ იქმნა პოლიციელი. ხმა გავარდა, რომ იგი მოჰკლა მღვდელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდელოებასთან-კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაეჭირიათ იმათი ერთი თანამოძმე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს. რომ ხალხისთვის გზა დაეცლევინებინათ, ბოქაულმა ნაბიეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით, „სტრაჟნიკებიც“ შეუერთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხვდათ მათრახები.

მოწმების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად, სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორნებს შეაფარეს თავი, ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამათ იქ უცხო ხალხიც შეჰყვა. ნაცემ მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ჰქონდა დახეული და ყურზე კრილობა მათრახითვე; ზოგსაც ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტყობოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით სავსე საპატრონე წაართვა.

სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის მღვდლებიც-კი, რომელნიც ეგზარხოსის ნებართვით ღამე-დგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებინათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიცმეისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად. შენობაში დარაჯებად ყაზახები ჩააყენეს და იმ ღამემ წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისში **გარდაიცვალა ალექსანდრე წულუკიძე.** განსვენებული „კვალსა“ და „მოგზაურში“ თანამშრომლობდა. ამას წინად „წ. კ. საზოგადოებამ“ გამოსცა იმისი წიგნი „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან“. განსვენებული სულ ახალ-გაზრდა კაცი იყო.

◆ როგორც „ჩ. ვ.“ გადმოგვცემს, ბათუმის გენერალ-გუბერნატორის თავ. ჯამბაკურ ორბელიანისთვის ადგილობრივ ვაჭართა დეპუტაციას უთხოვნია, **გაფიცულ ნოქრების** წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ნუ იხმარებთ, რადგან ჩვენ შესაძლოთ ვსცანით ნოქრებთან შეთანხმება და შეთანხმების პირობები უკვე შევიმუშავეთო. თავადმა მათი თხოვნა შეიწყნარა. ამაზე ადრე, 6 ივნისს, პოლიციამ დააპატიმრა ორმოცამდე გაფიცული ნოქარი, რომელთაც ხელწერილი ჩამოართვა, რომ ან სამსახურს შესდგომოდნენ ან არა და 24 საათის განმავლობაში ბათუმიდან წასულიყვნენ.

◆ გუშინ-წინ დილიდანვე **გაიფიცნენ ფუნიკულერის მოსამსახურენი**—კონდუქტორები, დამტარებლები, მემანქანენი და სხვ. შესწყვიტეს აგრეთვე ელექტრონი, რომლითაც განათებული იყო როგორც თვით ფუნიკულერი, ისე ზემოდ გაშენებული ბაღები და ბუფეტ-რესტორანები. ტრამვაის კანტორიდან დათხოვნილი უფროსი ჩენგერი ეხლა თურმე ფუნიკულერის უფროსად დაუყენებიათ და მოსამსახურენი, სხვათა შორის, თხოულობენ იმის გადაყენებასაც.

◆ **ბათუმში დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.** ეჭვი მიუტანიათ, არა საიმედო პირნი არიანო. ხელთ ჩაიგდეს დიდძალი ნებადაურთველი ლიტერატურა. გახშირდა იმათი დაპატიმრება, რომელნიც ნება-დაურთველად იარაღს ატარებენ. („ჩ. ვ.“).

◆ **სახალხო სკოლების მასწავლებელთ,** როგორც რუსულ გაზეთში ვკითხულობთ, აზრად აქვთ შეადგინონ სოფლის სკოლების მასწავლებელ ვაჟთა და ქალთა კავშირი და შუამდგომლობა გასწიონ, სამრევლო-საეკლესიო სკოლები საერო განათლების სამინისტროს გადაეცეს. ეს შუამდგომლობა გამოწვეულია სარწმუნოების თავისუფლებით და აგრეთვე იმ ფაქტით, რომ ზოგიერთ სოფლებში არსებობს მარტო სამრევლო სკოლები, სადაც მხოლოდ მართლ-მადიდებელ სარწმუნოების ბავშვებს იღებენ, სხვა სარწმუნოებისანი კი უსწავლელნი რჩებიან.

◆ გაზ. „კავკ.“ სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს ნება დაურთავს თავ. დ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილისთვის, გამოსცეს ყოველ-დღიური საზოგადო-საპოლიტიკო-სალიტერატურო **რუსული გაზეთი.** გაზეთს „ზაკავკაზსკაია პრავდა“ ერქმევა. ამ გაზეთის პასუხის მგებელ რედაქტორად დამტკიცებულია ხად. სოვ. ნ. ვ. მაჩაბელი.

◆ **ალავერდის ეპისკოპოსი** ევთიმე, რუსულ გაზეთების სიტყვით, დაინიშნა გორის ეპისკოპოსად. როგორც იგივე გაზეთები გადმოგვცემენ, ალავერდის ეპისკოპოსის საცხოვრებელ ბინად ამიერიდან შუამთის მონასტერი იქნება.

◆ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას გაუგია **ქართლ-კახეთის სამღვდელოების** 31 მაისის ამბავი და ტფილისში გამოუგზავნია განსაკუთრებული დეპუტაცია. ეს დეპუტაცია ჩამოვიდა 9 ივნისს და სამღვდელოების კომისიას თანაგრძნობა გამოუცხადა. ამასთან კომისიასა და დეპუტატებს თათბირი ჰქონდათ საერთო საკითხის შესახებ.

◆ **იმერეთის ეპარქიის ბლაღოჩინებს** გადაუწყვეტიათ, აცნობონ ეგზარხოსს, რომ იგინი სამსახურს თავს ანებებენ.

◆ როგორც გაზ. „ნ. ო.“ გადმოგვცემს, ლეჩხუმის მაზრაში, სოფ. ორბელში შემდგარა გორის მილიცის მსგავსი **თავად-აზნაურთა მილიცია.** ამ მილიციის დაარსებას საერთო უკმაყოფილება გამოუწვევია. მილიციის მოთავენი თავ. გარდაფხაძეები არიან თურმე.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ შეატყობინა პოლიცმეისტერს, რომ ყასპები ქალაქის **საყასპოს გარედ ჰკლავენ საქონელსაო.** რადგან შესაძლებელია რაიმე სენი გაძლიერდეს, გამგეობამ სთხოვა შესაფერ განკარგულების მოხდენა.

◆ წელს გლეხობამ ბევრი **მიწის მზომელი დაითხოვა სოფლიდან.** გუბერნატორმა ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა მაზრის უფროსებს და დაავალა, ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მიწის მზომლებს.

◆ გურიისა, სამეგრელოსა, სვანეთისა, იმერეთისა და საქართველოს სხვა კუთხეებიდან დეპეშებით თუ წერილობით **ქართლ-კახეთის სამღვდელოების** კომისიას ეკითხებიან, დანამდვილებით შეგვატყობინეთ, რა მოხდა 31 მაისსაო.

◆ ტფ. **სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულნი** კრებას განაგრძობენ ხვალ, 12 ივნისს, დილის 10 საათიდან.

◆ გუშინ გაზეთ „ივერიიდან“ გადმობეჭდილი გვქონდა, რომ **ბლაღოჩინმა მახათაძემ** უარი არა სთქვა ბლაღოჩინობაზეო. ეხლა ბლაღ. მახათაძე გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულიაო.

◆ **ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების** თავმჯდომარემ, მღ. კრისტეფორე ციცქიშვილმა 7 ივნისს მიიღო ფოთის სამღვდელოებისაგან შემდეგი დეპეშა:

„ფოთის სამღვდელოება დიდად გულმტკივნეულობს ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებისათვის, რომელსაც ესრეთი მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს 31 მაისს; იმედოვნებს, რომ სამღვდელოება თავის პატიოსნებისათვის თავს გამოიდებს და ამ უბრალო ინციდენტის მომხდენი დამნაშავე კანდევნილ იქმნება და შეურაცხყოფილ სამღვდელოების შორის ადგილი აღარ ექნება“.

◆ ეს მესამე დღეა გოლოვინის პროსპექტზე ტრამვაის ვაგონების წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილია, რადგან „ბოიარსკი“ სასტუმროს პირდაპირ ქალაქის მიერ გაყვანილი არხი ორს საჟენზე ჩაინგრა. მის გაკეთებას ორს კვირამდე მაინც მოუნდებიან.

◆ ტფ. სასმელ წყლების ბევრ ვაჭარს პატენტი არ აუღია და ჯეროვანი გადასახადი ქალაქის კასაში არ წარუდგენია. გამგეობამ ეს ამბავი აცნობა პოლიცმეისტერს და სთხოვა დახმარება გადასახადების მოკრებაში.

◆ 9 ივნისს კახეთის მევენახეთა საზოგადოების კანტორის მოსამსახურენი ხელ-ახლად გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი, სხვათა შორის, ნ. მირიანაშვილის დათხოვნაა. დანარჩენებმაც ხელი აიღეს მუშაობაზე და გაიფიცნენ. 10 ივნისს სარდაფის მოსამსახურე მუშებიც გაიფიცნენ (35 კაცი).

◆ ხვალ, 12 ივნისს, საათის 11-ზე, ტფ. ქალაქის საკრებულოს დარბაზში დანიშნულია უკანასკნელი კრება მეწაღეთა ამქრისა ტყავეულობის სავაჭრო მაღაზიის დაარსების მოსალაპარაკებლად. ამიტომ სთხოვენ ყველა ხელ-მოკლე ხელოსანსა და ქარგალს დაესწროს ამ კრებას.

◆ ამ ახლო ხანში მომხდარ დიდ წვიმას თიანეთის საფოსტო გზა ისე გაუფუჭებია, რომ წერილები და ამანათები ბოხჩებით გადმოაქვთ, გარს-შემოსავლელი ბილიკებით და ამიტომ იგვიანებს. ივრზე ხიდები მოუტაცნია.

◆ როგორც გაზ. „კავკაზ“-ს ატყობინებენ, გორის მაზრის ს. გვერდის-უბნის მცხოვრებმა დიშელ ხეთაგურმა და იმისმა შვილმა ვასილმა სოფ. წინუბანში მოკლეს შურის-ძიებით ს. ღვთიშობლის მცხოვრებნი ზურაბ სანაყაშვილი და ხანჯლით მძიმედ დასჭრეს ალექსი ბაქოშვილი და სოსიკო ნარიტაშვილი. მერე, 25 მაისს, დიშელ ხეთაგური გამოეცხადა პოლიციის მოხელეებს და გატყდა თავის დანაშაულობაში. იგი გორის საპატიმროში ჩასვეს.

◆

ფელეტონი

წარსულიდან

ბრძოლა განთავისუფლებისთვის *)

ეს ამბავი 1848 წელს მოხდა.

ბევრი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი გამოსცადა ლომბარდია-ვენეციამ. ეს მშვენიერი კუთხე იტალიისა ჯვარს აცვა ავსტრიის მონობის უღელმა. ბიუროკრატიულმა წეს-წყობილებამ, უზომო ძალმომრეობამ, ეროვნულ თავმოყვარეობის შელახვამ—ყველა ამან ხალხის გულში მტრობა და სიძულვილი დასთესა მტარვალთა მიმართ. ჯერ კიდევ მეოცე და მეოცდა-ათე წლებში გაისმა აქა-იქ ყრუ და გაუბედავი უკმაყოფილება. რაც დრო და ხანი გადიოდა, ხალხი მით უფრო მეტად ღელავდა და ბობოქრობდა. რა თქმა უნდა, თვით-ცნობიერების გაღვიძებასთან ერთად მატულობდა და ძლიერდებოდა გაბატონებულ ავსტრიელთა ძალმომრეობაც: დღითი-დღე ჟანდარმები და ძმანი მათნი მეტ უნარს და ნიჭს იჩენდნენ „მშვიდობიანობის და წეს-რიგის დაცვის“ საქმეში.

პირველ ხანს, როგორც ყველგან და ყოველთვის, საოპოზიციო და სარევოლიუციო მოქმედებამ თავი იჩინა იტალიის ინტელიგენციის უფრო მოწინავე წრეებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით მთავრობა ლომბარდია-ვენეციის საშეფოსი (ასეთი იყო ოფიციალური ტიტული ამ დამონებულ ოლქისა) ხელს უწყობდა ოპოზიციის და რევოლიუციის გაძლიერებას და შესანიშნავად თან-და-თანობით ამზადებდა ნიადაგს ამბოხების დროშის ასაფრიალებლად.

1847 წლის დამდეგისთვის ეს ნიადაგი სავსებით მომზადდა. მაღლმა საზოგადოებამ ბოიკოტი დაუწყო ავსტრიის ადმინისტრაციას და ჯარის წარმომადგენლებს, არ დაინდო თვით მეფის მოადგილეც-კი; სათემო საბჭოებმა მოხელეებს ბრძოლა გამოუცხადეს; გლეხობაც აღმაურდა. ყველგან და ყოველ საქმეში თავი იჩინა ეროვნულმა გრძნობამ და თავისუფლების მოპოვების სურვილმა. სულ უბრალო შემთხვევაც-კი შეტაკებას იწვევდა. 1847 წელს ახლად გარდაცვლილ მთავარ-ეპისკოპოსის (გერმანელი იყო) ნაცვლად მთავრობამ იტალიელი რომილლი დანიშნა. ახლად დანიშნულს ხალხი დიდის-დიდებით და ოვაციებით შეეგება. ადმინისტრაციამ სულ ცოფები ჰყარა და სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, სადღესასწაულოდ მორთულ ხალხს პოლიციელები მიუსია. მთელი ერთი კვირა ქალაქში რაზმები დადიოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს. ამ საზიზღარმა ძალმომრეობამ მოთმინების ფიალა აავსო. მოსამართლენიც-კი ხალხის მხარს იჭერდნენ და ამართლებდნენ დემონსტრაციების დროს დაპატიმრებულებს.

მალე გაბატონებულ ავსტრიელებს სხვებმაც გამოუცხადეს ბრძოლა: გაიღვიძეს საზოგადო დაწესებულებებმა და თვით-მმართველობებმა, რომელთაც ავსტრიამ სისტემატიურის ძალმომრეობით თითქმის ყოველივე უფლება ჩამოართვა.

1847 წლის 6 დეკემბერს ადვოკატმა ნაზარიმ ლომბარდიის მთავარ კონგრეგაციაში საყურადღებო ქაღალდი შეიტანა. ნაზარი სწერდა, ხალხი ძალიან უკმაყოფილოა მთავრობისა და უნდა კომისია დავსვათ ამის მიზეზთა გამოსარკვევადო. არ გასულა დიდი დრო, რომ ასეთი ქაღალდები პროვინციებიდანაც მოვიდა. წრეს გადასული ამ ქაღალდებში არა მოიპოვებოდა-რა. სიტყვაც არ იყო ნათქვამი კონსტიტუციაზე და ითხოულობდნენ მხოლოდ ზომიერ რეფორმებს. ნაზარის მაგალითს ცოტა ხნის შემდეგ ვენეციამაც მრავალი მიმბაძველი აღმოუჩინა. იქ, სხვათა შორის, მოითხოვეს თავისუფლება მწერლობისა და კრებისა.

როგორც ვთქვით, ეს მოთხოვნილებანი ზომიერების ფარგალს არ გასცილებია. მაგრამ ესეც თავხედობა იყო ავსტრიის ბიუროკრატიის თვალში, რომელიც ყველგან და ყველასაგან მონობას და მორჩილებას თხოულობდა. უმაღლესი მთავრობა კარგად მიხვდა, რომ საქმე ძლიერსა და საშიშ მოძრაობასთან ჰქონდა, მაგრამ, გზა-კვალ დაბნეულმა, ვერა მოახერხა-რა. უფრო გამბედავად და გულადად მოქმედებდა ადგილობრივი პოლიცია და ჯარი. ესენი ყოველ საშუალებას ხმარობდნენ ხალხი მოთმინებიდან გამოეყვანათ და ამბოხება გამოეწვიათ, რომ საბაბი ჰქონოდათ იარაღის ხმარებისა. ჯარის მთავარ-სარდალი გენერალი რადეცკი, უხეში და გაუთლელი სალდათი, პირდაპირ ამბობდა: „სამი დღე რომ სისხლი დაიღვაროს, ოცდაათის წლით მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო“.

მალე საბაბიც აღმოჩნდა. მთელი შემოდგომა ხალხი ბორგავდა და უკმაყოფილებას აცხადებდა. ბოლოს, შობის წინა დღეებში, მოძრაობის მეთაურებმა გადასწყვიტეს, უფრო მხნედ და მედგრად ემოქმედნათ, ამასთან გეგმაც შეიმუშავეს. მოიგონეს ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკა და ის, თუ როგორ მოიპოვა თავისუფლება ამ რესპუბლიკამ: ამერიკელების პირველი ნაბიჯი განთავისუფლებისაკენ იმით გამოიხატა, რომ უარი განაცხადეს ჩაის ყიდვაზე. ჩაი სახელმწიფოს დიდ ბაჟს აძლევდა და იმის გაუსაღებლობა, რა თქმა უნდა, საზარალო იქნებოდა ხაზინისთვის. ამ მაგალითის მიბაძვით, მოძრაობის მეთაურთ მილანში მიმართეს ხალხს მოწოდებით. სთხოვდნენ, ხელი აეღოთ თამბაქოს წევაზე, რადგან თამბაქო ავსტრიის მონოპოლიას შეადგენდა. ერთი წლის განმავლობაში ხაზინამ მარტო ამისაგან რამდენიმე მილიონი მანეთი იზარალა.

მეტად ერთსულად მოქმედებდნენ ამ საქმეში მილანელები: 1848 წლის იანვრის პირველ ორ დღეს მილანის ქუჩაზე თამბაქოს აღარც ერთ მწეველს არ გაუვლია. ვისაც სიგარით ან პაპიროზით ხელში დაინახავდნენ, სიცილით და ერთის ვაი-ვიშველებელით ისტუმრებდნენ. სამხედრო პარტიამ ამ ამბავს დიდი ყურადღება მიაქცია და მოისურვა „ხალხისთვის ჭკუის სწავლება“. სალდათებს კანგებ დიდძალი სიგარა დაურიგეს. 3 იანვარს მილანის ქუჩები აფიცრებით და სალდათებით გაივსო; ესენი გამვლელ-გამომვლელთ სიგარას შიგ პირში აბოლებდნენ. ბევრი სალდათი ძალზე მთვრალიც იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიელებმა ვერ აიტანეს ასეთი თავხედობა, და აქა-იქ სალდათებსა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა. საღამო ხანზე ცხენოსანი ჯარი დაესია უიარაღო ხალხს, რამდენიმე კაცი მოჰკლა და 50-მდე დასჭრა. მოკლულ-დაჭრილთა შორის იყვნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები. ასეთი სცენები ლომბარდიის სხვა ქალაქებშიაც მოხდა.

ამ საოცარმა ძალმომრეობამ საერთო და ხმამაღალი პროტესტი გამოიწვია. თვით უმაღლესი მოხელენიც-კი ან პროტესტს აცხადებდნენ და ან სამსახურს თავს ანებებდნენ. სამღვდელოებამაც თავი გამოიდო. ერთმა 80 წლის, ყველასაგან პატივცემულმა, მღვდელმა თავისი უკმაყოფილება თვით მეფის მოადგილეს გამოუცხადა. „მე ბევრი მწუხარე დღეები გამოვცადე,—სთქვა ამ მხცოვანმა მოძღვარმა:—ჩემის თვალით ვნახე რუსების, ფრანგების, ავსტრიელების შემოსევა, მაგრამ არასოდეს არ მინახავს უიარაღო ხალხის ასეთი ჟლეტა-ხოცვა. როგორც მოქალაქე, როგორც ქრისტიანე და მღვდელი, მოვედი გაუწყოთ ჩემი გულის წყრომა ესოდენ

---

*) იხ. „ს. ოტ.“ № 76.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

9 ივნისი

ოზურგეთი, 10 ივნისი. სავაჭროების პატრონებმა არ დააკმაყოფილეს ნოქრების მოთხოვნილებანი, ამიტომ გაფიცვა განახლდა.

ქუთაისის ახალი ამბები

7 ივნისისათვის დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც ხმოსანთა ჩვეულებრივს რიცხვზე მეტი დაესწრო. ეტყობოდა, ამ საღამოს ხმოსნებს რაღაც აინტერესებდათ. ეს იყო 31 მაისს ტფილისში მომხდარი სამწუხარო ინციდენტი—მთავრობის მიერ ნება-დართულ ქართლ-კახეთის სამღვდელოების აწიოკება. ამ ინციდენტმა ააშფოთა მთელი ქუთაისის საზოგადოება. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ გ. ი. გველესიანმა წინადადება მისცა საბჭოს, სამძიმარი გამოეცხადებინა სამღვდელოებისათვის ხსენებულ ინციდენტის გამო და გულის წყრომა იმ პიროთათვის, რომელთაც ეს ამბავი გამოიწვიეს. ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა, შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნოს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზს მ. ტყემალაძე სამღვდელოების კრების თავმჯდომარედ ნამყოფს მ. ციცქიშვილისათვის გადასაცემად: „გთხოვთ გადასცეთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას ჩვენი ღრმა მწუხარება 31 მაისს მომხდარ სამწუხარო ინციდენტის გამო და გამოუცხადოთ ჩვენი გულის წყრომა იმათ, რომელნიც გახდნენ მიზეზად ივერიის ეკკლესიის მსახურთა თავხედურად მოპყრობისა და დაუმსახურებელ შეურაცყოფისა“. ხსენებულ ინციდენტით აღშფოთებულმა ხმოსნებმა ერთხმად დახურეს საბჭოს კრება. როგორც მოსალოდნელი იყო, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება მეტად აუშფოთებია 31 მაისს ტფილისში მომხდარს ქართლ-კახეთის სამღვდელოების მოქმედებით შეურაცყოფას, რომელიც რაღაც წყვდიადით არის მოცული, და განუზრახავთ მოითხოვონ ღირსეულად დასჯა იმ პირთა, რომელთაც გამოიწვიეს ეს ძალმომრეობა. სამღვდელოების დადგენილებას მალე ვაცნობებთ მკითხველებს.

ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება

10 ივნისი.

თავმჯდომარემ სხდომის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ 9 ივნისის სხდომაზე მომხდარ ინციდენტის დამნაშავე მე ვარ, რადგან დროზე არ შევაჩერე ბ-ნი გ. მაჩაბელი და ნება მივეცი დალაპარაკისა. ძალიან ვწუხვარ და ბოდიშს ვითხოვ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის წინაშე. ამასთან ვსთხოვ ორატორებს, თავი შეიკავონ სიტყვების წარმოთქმის დროსაო. ოქმის წაკითხვის შემდეგ თავ. ა. ვახვახიშვილმა განაცხადა: უკვე დამტკიცებულია პროექტი წესდებისა, რომლითაც აღნიშნულია, რაგვარად უნდა დანაწილდეს სამეურნეო თანხა. ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. მაგრამ რა გაეწყობა, საქმე გადაწყვეტილია და სინდიკატს უკვე მივეცით 10 ათასი მანეთი. მხოლოდ საჭიროა ოქმში შევიტანოთ, რომ ეს სესხი მიცემულია აღნიშნულ წესდების თანახმად. თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა სთქვა: ეს პროექტი დამტკიცებულია 1903 წელს, ჯერ თავად-აზნაურობას ამით არ უხელმძღვანელნია, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლიან სამეურნეო თანხიდან გავსცეთ სესხით. თ. ა. ნ. დიასამიძე წინააღმდეგი იყო მთხოვნელ დაზარალებულ თავად-აზნაურთ სესხი მიეცეთ.

თავ. გ. ი. თარხნიშვილმა სთქვა თავად-აზნაურთა ერთ ჯგუფის თხოვნაში ნათლად არ არის ნათქვამი, რისთვის უნდათ ფული. როგორც გავიგე, თავად-აზნაურობას აზრად აქვს შეადგინოს სამეურნეო არტელი, შეიძინოს სამეურნეო იარაღი და საერთო ძალით დაამუშაოს მიწები. ასეთ კეთილ აზრისათვის კი თავად-აზნაურობა ვალდებულია თავის თანამოძმეს დახმარება გაუწიოს. ის ხმები, ვითომ ფულს რაღაც „მილიციის“ შესაიარაღებლად ვთხოულობდეთ, სიმართლეს მოკლებულია. თავ. დ. ჯორჯაძე: პრინციპიალურად დახმარების წინააღმდეგნი არა ვართ მაგრამ რატომ განცხადებაში არ არის უთქვამი ის, რაც თავ. თარხნიშვილმა სთქვაო. ექ. გედევანიშვილმა დიდს ხანს ილაპარაკა და აღნიშნა მთხოვნელთა ორჭოფობა. ერთმა სთქვა, არტელი გვინდა დავარსოთო, ამბობენ, მილიციის შესაიარაღებლად უნდათ ფულის და სხვ. ასეთს გარემოებაში არ ვიცით, მივცეთ ფული თუ არა. ჩემის აზრით, ამ საკითხის განხილვა უნდა მივანდოთ იმ კომისიას, რომელსაც გუშინდელს კრებაზე დაევალა შესწავლა დაზარალებულთა მდგომარეობისაო. მ. მაჩაბელის აზრით, უნდა მიეცეს მთხოვნელთ ფული. თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, რომ თავად-აზნაურობას წელს ცოტა ფული აქვს: სათავად-აზნაურო სკოლამ ითხოვა 91,000 მან. და ჩვენ-კი 76,000 მან. მეტს ვერ მივცემთ; ახალ სტიპენდიებისათვის თითქმის არა დაგვრჩება-რა. რაც შეეხება სამეურნეო თანხას, ხელს ვერ ვახლებთ, რადგან ამ თანხას სხვა დანიშნულება აქვს: უნდა განვახორციელოთ პროექტი წვრილის კრედიტისაო. ს. რ. ვახვახიშვილიც ეთანხმება ბ-ნთ გედევანიშვილისა, დიასამიძისა და სხვათა მოსაზრებას და ამბობს, უსათუოდ საჭიროა პროექტი წარმოგვიდგინოს იმ 15—20 კაცმა, რომელნიც 20,000 მან. ითხოვენ და აგვიხსნან, რისთვის სჭირდებათ ეს ფულიო. საკითხი დაზარალებულის შემწეობის აღმოჩენის შესახებ, ერთს მაზრას-კი არა, მთელს გუბერნიას უნდა შეეხებოდეს, რადგან წელს ყველას მოუვიდა ზარალიო.

კამათმა გასტანა ნაშუადღევის 4 საათამდე. ბოლოს კენჭი უყარეს ორ წინადადებას პ. ყიფიანისა და ი. ს. ჯაბადარისას. პეტრე ყიფიანის წინადადება: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა, აღმოუჩინოს შემწეობა სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ტფ. გუბერნიის დაზარალებულთ მიწის მფლობელ და მის მუშას, მაგრამ რადგან ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასრულებამდე შეუძლებელია გამორკვევა იმისა, თუ რამდენი ჯამი სამეურნეო თანხისა, და აგრეთვე იმისა, თუ რამდენი ფულია საჭირო დაზარალებულთათვის, ამასთან რადგან საჭიროა შემუშავდეს ფულის განაწილების წესიც, ამიტომ ამ საქმის განხილვა გადაიდოს ყველა საგნების განხილვის დასრულებამდე“.

ი. ს. ჯაბადარის წინადადება: „1. ტფ. გუბერნიის მცხოვრებთა განსაკუთრებულ მდგომარეობისა გამო თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, სამეურნეო თანხიდან მიეცეს სესხი გუბერნიის დაზარალებულ თავად-აზნაურობას; 2. გადაეცეს დეპუტატთა საკრებულოს სამეურნეო თანხა და დაევალოს მოწვეულ პირთა დახმარებით ფული გაანაწილოს დაზარალებულთა შორის; 3. გადადებულ ფულის დახარჯვის საქმის გადაწყვეტა დაევალოს თითოეულ მაზრის ამორჩეულ კომისიას, ისე-კი რომ კერძოდ ფული ხელში არავის მიეცეს, არამედ კომისიამ მოახმაროს საზოგადოდ დაზარალებულთ“.

კენჭის ყრამდე კამათი გამოიწვია, ორივე წინადადებამ თ. ალ. დიასამიძემ. და სხვებმაც მოითხოვეს, რომ სამეურნეო თანხიდან დახმარება აღმოუჩინონ ყველას წოდების განურჩევლად. პასუხად გორის მაზრის მარშალმა სთქვა, რომ წინააღმდეგი არა ვარ გლეხებს შემწეობა აღმოვუჩინოთ, მაგრამ იმ წესით, ფულის გადადება, რა წესითაც ბ-ნი ყიფიანი გვირჩევს, უფრო გაამწვავებს გლეხთა და თავად-აზნაურთა დამოკიდებულებასო.

ხმის უმეტესობით კრებამ მიიღო ივ. ს. ჯაბადარის ფორმულა.

ტფილისის ქალაქის საქმეები

9 ივნისს

ამ საღამოს ხმოსნები ნაკლებად დაესწრნენ. ხმ. ბაბოვმა მოითხოვა ცნობები ქალაქის ხორცის დუქნების შესახებ. ხმოსანმა სთქვა, შეგვატყობინეთ წარსულ თვეების ანგარიში მიღებული გაქვთ თუ არა და საბჭოს როდის წარუდგენთ მოხსენებას დუქნების შესახებაო. თავმჯდომარემ აცნობა, რომ ანგარიში უკვე მიღებულია და ქალაქის გამგეობა შეუდგა დუქნების რეორგანიზაციის საკითხის განხილვასო.

შემდეგ ყასბებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ხმ. მელიქ-ბეგლიარმა სთქვა: როგორც გავიგე, ქალაქის ყასბები ჩუმად ჰკლავენ საქონელს და ბეითლების შეუმოწმებლად ჰყიდიან; გვაცნობეთ ამის წინააღმდეგ რა ზომები მიიღეთო. თავმჯდომარემ სთქვა, ქალაქის საყასპოში ოთხი-ხუთი ყასაბი თუ აკვლევინებს საქონელს, ქალაქში-კი მესამე დღეა უხვად იშოვება ხორცი. რა თქმა უნდა, საქონელი საყასპოს გარეშე იკვლება და ამიტომ გამგეობამ უკვე ჯეროვანს ღონეს მიმართაო.

ხმ. ა. ბაბოვი ამბობს: წელს ქალაქის შემოსავალმა მეტად იკლო და მოსალოდნელია, რომ ხარჯი შემოსავალს 315,000 მანეთით გადააჭარბებს. ქალაქმა რამე უნდა ილონოს ხარჯის დასაფარავად. ჩემის აზრით, გამგეობამ უნდა ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებას: უმაღლეს მთავრობის გადაწყვეტილებით, დასაფასებელი გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ ნამესტნიკის სახლსაც უნდა დაედოს. ამოდენა ხანია ამ სახლიდან ქალაქს დასაფასებელი გადასახადი არ შემოსდის, სულ-კი 800,000 მან. მეტი შედგებაო.

ხმ. ხუდადოვმა განაცხადა: კარგა ხანია მირზოევმა ქალაქს უანდერძა 400,000 მან., რომლის სარგებლითაც ქალაქს 90 სტიპენდიანტი უნდა ჰყოლოდა. თვითმმართველობას ეს დიდი საქმე მივიწყებული ჰქონდა და ღმერთმა უშველოს „ტფ. ლისტოკის“ ერთს თანამშრომელს, რომ მოგვაგონა ეს ანდერძი. კარგი იქნება, გამგეობამ, თუ რამე იცის ამ საქმის შესახებ, შეგვატყობინოსო. თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ გამგეობამაც არაფერი იცისო. საბჭომ დაავალა გამგეობას, დაბეჭდოს ამ საქმის შესახები ცნობები.

შემდეგ საბჭო მორიგ საქმეების განხილვას შეუდგა. მოისმინა ბულიგინთან გაგზავნილ დეპუტაციის მოხსენება და მადლობა გამოუცხადა დეპუტატებს. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა განხილვას გამგეობის მოხსენებისას ქალაქის საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. არსებულ შტატს მოხსენებით მიემატება საქმის მწარმოებლის და სასამართლოს ბოქაულის თანამდებობა. გამგე იურისკონსულტს მიეცემა წლიწადში 2400 მან. იმ პირობით, რომ იგი მთელს თავის დროს ქალაქის საქმეებს მოანდომებს. საბჭომ უცვლელად მიიღო გამგეობის დადგენილება.

რუსეთის ქრონიკა

ფუჭი ხარჯი. „ნ. ვ.“ სწერს რუსის ფლოტზე, რომ 1881 წელს 30 მილიონი მანეთი იხარჯებოდა, ეხლა-კი ხარჯი 120 მილიონამდე ავიდაო. სულ-კი რუსის ფლოტზე დახარჯულა 2 მილიარდ მანეთამდე. ამგვარად რუსეთმა დიდძალი ფული მოანდომა ფლოტს, მაგრამ რადგან, ამასთან ერთად ხალხის კულტურა არ იზრდებოდა, ამ დანახარჯმა ფუჭად ჩაიარა. ასე მოხდება, ამთავრებს „ნ. ვ.“, მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც ძალმომრეობა და უსამართლობაა გამეფებულიო.

გაჭირვებული მუშები. „ნოვოსტი“ გადმოგვცემს, რომ კრონშტადის ნავთსადგურში მუშაობის შემცირებისა გამო, 2000 მუშა დაითხოვეს. ამათ უსახსრობისა გამო ნავთსადგურიდან წასვლაც-კი არ შეუძლიანთო.

ერთობა ძალაა. როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს ერთდებიან სხვა და სხვა პროფესიის წარმომადგენელნი. როგორც „რუსი“ გადმოგვცემს, პეტერბურგში შეერთებულ ბუხჰალტერთა და კანტორის მოსამსახურეთა რიცხვი ავიდა 6000-მდე, უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებელთა—1,500, ვექილებისა—2,500, იმ ქალთა, რომელნიც თანასწორობისთვის იღწვიან—1,000, ინჟენერთა და ტეხნიკოსთა—3,500, ფარმაცევტთა—760, საშუალო სკოლის მასწავლებელთა—280, დაბალ—5000,-მდე რკინის გზის მოსამსახურეთა—6000, ებრაელთა—5000-მდე ეს 10 კორპორაცია შეადგენს საერთოდ 26½ ათას კაცს. ეს მარტო პეტერბურგში. ასევეა ბევრ სხვა ქალაქშიაც.

შეუწყნარებელი შუამდგომლობა. ერთმა საგუბერნიო საერობო კრებამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე და ითხოვა საბეითლო ინსტიტუტებში თავისუფალ მსმენელების უფლება ქალებსაც მიეცეთო. სამინისტრომ ეს შუამდგომლობა, რუსულ გაზეთების სიტყვით, არ შეიწყნარა. („რ.“).

უნივერსიტეტის ახალი წესდება. საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია „განახლებულ უნივერსიტეტების“ წესდების პროექტი. ამ პროექტების განსამილველად, როგორც ხმა დადის, განზრახულია მოწვეულ იქმნან ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენლები („რ. ვ.“).

ხალხის წარმომადგენელთა არჩევნები. გაზ. „სლ.“-ს სიტყვით, ხალხის წარმომადგენელთა არჩევნები ასე მოხდება: მთელის რუსეთის მკვიდრნი შეადგენენ სამს ჯგუფს: პირველს—გლეხობა, მეორეს—მიწათ-მფლობელნი (ამათში გლეხობაც ერევა) და მესამე—ქალაქების მცხოვრებნი და ქარხნებში მომუშავენი. პირველ ჯგუფში არჩეულნი სამ ხარისხად იქნებიან გაყოფილნი, ხოლო დანარჩენ ორ ჯგუფში არჩეულნი—ორ-ორ ხარისხად. („რ. ვ.“).

საზარელი მკვლელობა. ელისავეტგრადიდან ატყობინებენ გაზ. „რ. ს.“, რომ იქ 4 ივნისს საზარელი შემთხვევა მომხდარა. სული წმიდის დღესასწაულისა გამო 11 წლის კონოვალენკოს ქალი თავის ტოლ ქალთან ერთად ბალახსა ჰკრეფდა თოფის წამლის სარდაფის გვერდით. ტაგანროგის პოლკის მოდარაჯე სალდათმა უბრძანა გოგოებს წასულიყვნენ, მაგრამ იმათ არ გაიგონეს ბრძანება და თავის საქმეს განაგრძობდნენ. მაშინ სალდათმა კონოვალენკოს ქალს ჯერ თოფის შუბი დაჰკრა ზურგში და მერე თოფი ესროლა. ტყვია საფეთქელში მოჰხვდა პატარა ქალს და იქვე სული განუტევა. („რუს“).

საზღვაო სამინისტროს უფროსი. ზღვათა მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ფ. აველანი სამსახურს თურმე თავს ანებებს. მინისტრის თანამდებობაზედ კანდიდატებად ასახელებენ ვიცე-ადმირალებს ა. ბირილევს, ფ. დუბასოვს და ჩუხნინს. („ნ. ვ.“).

სიკვდილით დასჯა. 31 მაისს დვინის სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე მუშის მ. დეიჩისა, რომელსაც ბრალდებოდა ბოქაულის თანაშემწის ერემინის მოკვლის განზრახვა. დეიჩს, გაზეთების სიტყვით, მიესაჯა ჩამოხრჩობა. დამნაშავე სულ 19 წლისა ყოფილა. სასამართლოს მოუხერხებლად დაუნახავს შუამდგომლობაც-კი სასჯელის შესამსუბუქებლად. („ნ. ვ.“).

რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა. გზათა სამინისტრო აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ სამოსამართლო უწყების პირთ მხნე დახმარება გაუწიონ რკინის გზების სამმართველოებს მოსამსახურეთა გაფიცვის მოსასპობად. ამისთვის მათ შეუძლიანთ სასტიკი ზომები მიიღონ იმათ წინააღმდეგ, ვინც მუშაობაზედ უარს განაცხადებს. ვინც თავის ნებით დასტოვებს სამსახურს ან არ გამოცხადდება თანამდებობის ასასრულებლად, ის უნდა დაისაჯოს საპყრობილეში დაპატიმრებით 4-დან 8 თვემდე. ამგვარ შემთხვევებში უეჭველად წინასწარი გამოძიება უნდა დაინიშნოს. ეს გამოძიება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ხოლმე. რკინის გზის გამგეობამ გამოძიების შედეგი დეპეშებით უნდა აცნობოს სამინისტროს და ითხოვოს ნებართვა დამნაშავე მოსამსახურის სამართალში მიცემისთვის.

სარწმუნოებისთვის დასჯილნი. ხმა დადის, რომ იუსტიციის სამინისტროს 1 აპრილის უმაღლეს ბრძანების თანახმად, მინისტრთა კომიტეტში მოხსენება შეაქვს, რომ სარწმუნოებისთვის დასჯილთ შეუმსუბუქდეთ მდგომარეობა, ამასთან მოისპოს ამ პირთა შესახებ საქმის წარმოება და სამართალში მიცემა.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

მეორედ შეიკრიბნენ სათავად-აზნაურო სკოლის სადგომში მასწავლებლების პროექტის განსახილველად. საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო და კამათი ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. მოასწრეს პროექტის ორი მუხლის განხილვა.

უნდა ვსთქვათ, რომ რედაქციის მხრივ პირველი მუხლი ცუდათ არის შედგენილი და ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ მოლაპარაკეთ სხვა და სხვა ნაირად ესმოდათ და სხვა და სხვა საგანზედ ლაპარაკობდნენ.

პირველ მუხლში მასწავლებლები თხოულობენ, რომ სათავად-აზნაურო სკოლას აღარ ჰქონდეს შემდეგისათვის მოსამზადებელ პანსიონის ხასიათი. მოთხოვნა კანონიერი და სამართლიანია და საზოგადოებაც ვერ იტყვის უარს მის დაკმაყოფილებაზე, გარდა, რასაკვირველია, ი. რატიშვილისა და გ. გაბაშვილისა, რომელთაგან პირველი იმასაც-კი ამტკიცებდა, რომ დაბალ კლასებში მიღებული რუსულ ისტორიის სახელმძღვანელო, განთქმული ყველასაგან ცნობილ თავისებურ „პატრიოტისმით“, სრულიად არ არის დასაწუნიო: პედაგოგისაგან, მერე ქართულ სკოლის (სახელით მაინც) ქართველ პედაგოგისაგან ასეთ აზრის მოსმენა ძნელად მოსალოდნელი იყო, მაგრამ, ალბად, ჩვენ პედაგოგებ შორისაც ყოფილან ისეთები, რომელნიც მხოლოდ სახელით არიან პედაგოგები, საქმით-კი პედაგოგიასთან საერთო არა აქვთ-რა.

მეორე მუხლში მასწავლებლები თხოულობენ, რომ ჩვენ სკოლაში საგნები ქართულად ისწავლებოდეს, მაგრამო, უმატებენ მასწავლებლები, თუ რუსულ სკოლის სასურველი რეორგანიზაცია არ მოხდა, ის მაინც მოვახერხოთ, რომ ქართულ ენას და ისტორიას საპატიო ადგილი ჰქონდეს სკოლაშიო. მუხლის ამ მეორე ნახევარმა ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება დამსწრე საზოგადოებაზე. მართლაც, ყველგან, ყველგან, მაგრამ აქ-კი ოპორტუნისტობა შეუწყნარებელია—ჩვენ სკოლაში თუ არ ქართულად სხვა ენაზე სწავლება შეუძლებელია, თუმცა თ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილისთანა პირებიც ყოფილან, რომელთაც აქამდე ვერ გაუგიათ, თუ რისთვის არის საჭირო, რომ რუსი რუსულ ენაზე სწავლობს და ფრანგი ფრანგულზე. მასწავლებლებს პირდაპირ და გადაჭრით უნდა მოეთხოვათ ქართულად სწავლება. ჩვენი სკოლა კერძო სკოლაა და დღევანდელ პირობებში მთავრობაც კი თანახმაა, რომ ასეთ სკოლებს ენის თავისუფლება მიენიჭოთ.

წერილები

გორი. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ გორელებს ქალაქის თავად (სტაროსტა) აურჩევიათ საიმედო და თაოსანი პირი, ბ-ნი ლ. გრიგორაშვილი, რომელმაც მცირე ხნის განმავლობაში, თავის წინა მოადგილეებთან შედარებით, ბევრი საგულისხმო საკითხი აღძრა, ბევრ თვალ-საჩინო საქმეს მიაქცია ყურადღება და თუ სხვებმაც მხარი მისცეს, იმის მეცადინეობით გორის ცხოვრებას კარგი მერმისი მოელის. ბ-ნმა გრიგორაშვილმა უკვე „შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარადგინა საურთიერთო სამეურნეო ბანკის, სამარხ კასის და ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოების წესდებანი, რომელთა მოქმედება მოსალოდნელია მომავალ წლის იანვრიდან. გარდა ამისა, მისისავე განკარგულებით, ქალაქის რწმუნებულთა ერთ უკანასკნელ სხდომაზედ განხილულ იქმნა საქმეები ქუჩების გაუმჯობესების, ქა-

---

უსამართლობისა გამო“-ო. ასევე მოიქცნენ არისტოკრატიის წარმომადგენლები. გრაფმა ბორრომეომ უმაღლესი ორდენი დაუბრუნა მეფის მოადგილეს და მისწერა: „ეს ორდენი მეტად შელებილია ჩემის მოქალაქეთა სისხლით და ამიტომ ვეღარ ვატარებო“.

ავსტრიის მეფის მოადგილე პირველ ხანს ძალიან შეკრთა. მოინდომა დათმობით ხალხის დაყვავება, ამიტომ მილანის ქალაქის თავს ნება მისცა, გამოექვეყნებინა განსაკუთრებული პროკლამაცია. ამ პროკლამაციით დაგმობილ იქმნა 3 იანვრის ძალმომრეობა. მაგრამ მალე გამოირკვა ავსტრიის ბიუროკრატიის ორპირობა: ქალაქის ყოველ ნაწილში გააკრეს ახალი პროკლამაცია და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ხალხს. დაიწყო ჩვეულებრივი ამბავი: დაპატიმრეს მოძრაობის მეთაურნი ტომმაზო და მანინი; როგორც ლომბარდიასა, ისე ვენეციაში გამოაცხადეს საომარ დროის წესები; გააბატონეს სამხედრო სასამართლო. მაგრამ არც იტალიელნი დარჩნენ გულ-ხელ-დაკრეფილნი: თავის მხრივ ისინიც ემზადებოდნენ საბრძოლველად, აგროვებდნენ ფულს, ყიდულობდნენ იარაღს, იჭერდნენ საქმეს პიემონტელ დიპლომატებთან. ერთის სიტყვით, როგორც იტალიელი ისტორიკოსი ორსი გადმოგვცემს, „ვენეციასა და ლომბარდიაში მთავრობა და ქვეშევრდომნი ურთიერთის წინააღმდეგ იდგნენ, როგორც ორი მოსისხლე მტერი, და ელოდნენ ნიშანს ბრძოლის დასაწყებად“.

მალე ეს ნიშანიც გამოჩნდა. 1848 წელიწადი რევოლიუციებით დაიწყო. 12 იანვარს სიცილიაში იფეთქა ამბოხებამ; ამავე წლის თებერვალში ხალხმა გაიმარჯვა პარიზის ქუჩებზე, ხოლო 13 მარტს თვითონ ვენამ, აბსოლიუტიზმისამ მაგარმა ციხემ, აისხა იარაღი, გასდევნა ყველასაგან შეძულებული მეტტერნიხი და მოიპოვა დიდი ხნით მონატრულებული კონსტიტუცია.

ეს ამბავი მილანელებმა 17 მარტის დამეს გაიგეს. მეორე დილას მცხოვრებთ ყველგან ქუჩებში გაკრული დაინახეს ავსტრიის ვიცე-პრეზიდენტის მანიფესტი. ეს მანიფესტი შეიცავდა იმპერატორის ბრძანებას ლომბარდია-ვენეციის სამეფოდან ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. აშკარა იყო, მთავრობა თვითონ უთმობდა და ფიქრობდა ამით ხალხის დაწყნარებას, მაგრამ გვიან იყო, რადგან ბრძოლა უკვე დაიწყო. საერთო მოძრაობის მეთაურნი მთელ ღამეს დემონსტრაციას ამზადებდნენ მეორე დღისთვის. მანიფესტს ყველგან ერთი და იგივე წააწერეს: „ძალიან გვიან არის“-ო! ამასთან ძველ მანიფესტის გვერდით გააკრეს ახალი, რომლითაც თხოულობდნენ: პოლიცია დამორჩილებოდა თვითმმართველობას, გაუქმებულიყო საომარ დროის წესები, გამოცხადებულიყო პოლიტიკური ამნისტია; თხოულობდნენ აგრეთვე საერო კრების მოწვევას და ამ კრებისთვის ხალხის წარმომადგენლების თავისუფლად არჩევას, საერო გვარდიის მოწყობას და სხვას. ამავე დღეს დიდძალი ხალხი, ქალაქის თავის კაზატის მეთაურობით, გაემართა მეფის მოადგილის სასახლისკენ და ხელი მოაწერინა ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებულ დეკრეტებზე. ქალაქის საბჭო ითხოვდა პოლიციის დათხოვნას და თვითმმართველობისაგან დამოკიდებულ პოლიციის მოწყობას.

ამ დრომდე მოძრაობა ლეგალურსა და კანონიერს გზაზე იდგა და ხალხი იმაზე მეტს არასა თხოულობდა, რაც ვენაში გამოცემულ იმპერატორის ბრძანებით იყო აღთქმული. ვიცე-პრეზიდენტის სასახლიდან ხალხი მშვიდობიანად დაბრუნდა და ის იყო დაშლას აპირებდა, რომ ქალაქის საბჭოს სადგომის წინ დახვდათ ავსტრიელ სალდათთა ერთი რაზმი. რაზმიდან ვიღაცამ თოფი გაისროლა და ერთი მოქალაქე მოჰკლა. ამით დაიწყო სისხლის მღვრელი ბრძოლა მილანელებისა მტარვალობის წინააღმდეგ. ისტორიაში ეს ბრძოლა ცნობილია „ხუთ დღეთ“, რადგან მთელი ხუთი დღე (18—22 მარტამდე) არ შეწყვეტილა ბრძოლა მილანის ქუჩაზე. დიდი და ძნელი საქმე მოელოდა ხალხს: იგი უიარაღო, სრულიად მოუმზადებელი უნდა შებმოდა მთელ არმიას გენერალ რადეცკისას, რომელსაც მარტო მილანში ცამეტი ათასი კაცი ჰყავდა. მილანელები არ შედრკნენ და თავის დასახსნელად ყოველივე და ყველაფერი იარაღად გამოიყენეს: ქვებს ესროდნენ სალდათებს ზევიდან, აივნებსა ან სახლის თავებიდან, ცხელ წყალს ან ზეთს ასხამდნენ ერთ ბატალიონს დედაკაცებმა სეტყვასავით დაუშინეს ცხელი ბოთლები. ბატალიონი იძულებული გახდა უკან დახეულიყო. გაძარცვეს თოფისა და სხვა საომარ იარაღის მაღაზიები. მებრძოლთ ორიოდე ზარბაზანიც კი ჩაიგდეს ხელში. მარტო ერთის ღამის განმავლობაში ხალხმა ხუთასი ბარიკადა გამართა ქუჩებში. ყველაფერი გამოიყენეს მებრძოლთ: ავეჯი, სტოლები, სასკოლო სკამები, პიანინოები. 19 მარტის მზიან დილას მილანი ცხარე ბრძოლით შეეგება. ამ ბარიკადებზე მამაცი იტალიელები, თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულით უფრო შეიარაღებულნი, ვიდრე თოფ-ზარბაზნით, მაგრა დახვდნენ ავსტრიის საუკეთესო ჯარის იერიშებს. მოხუცები, დედაკაცები, ჭაბუკები და ბავშვები—ყველანი იღებდნენ მონაწილეობას და იბრძოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო. ზარბაზნებისა და თოფის სროლის ხმა უერთდებოდა ზარების გუგუნს, რომლითაც მილანელები მებრძოლ მოძმეებს ამხნევებდნენ.

ფეხ და ფეხ მისდევდნენ მოქალაქენი ჯარს და იერიშით იღებდნენ ქალაქის ყოველ ქუჩას, ყოველ უბანს. მეორე დღეს (20 მარტს) გენერალი რადეცკი უკუ-აგდეს ქალაქის შუა გულიდან. აღტაცებამ და თავდადებამ სძლია იარაღს. სალდათები სულით ეცემოდნენ და ერთხელ უკუ-გდებულნი, იშლებოდნენ, იფანტებოდნენ. ჯარში რამდენიმე იტალიელი პოლკიც იყო. ესენი ყოყმანობდნენ და ვერა ბედავდნენ ძმათა სისხლში ხელის მოსვრას. ასეთ პირობებში ამაყმა და მანამდე ქედ-მაღალმა რადეცკიმ შერიგებაზედაც-კი იკადრა ლაპარაკის ჩამოგდება. მაგრამ მილანელებმა უარ-ჰყვეს შერიგება და გამხნევებულებმა უფრო მედგრად განაგრძეს ბრძოლა. მალე სხვა ქალაქებსა და სოფლებიდანაც მოეშველნენ მილანელებს. ამათ ქალაქის ალაყაფის კარებზე მიიტანეს იერიში, და 22 მარტის დილას რადეცკის ხელში მხოლოდ-და კოშკი და კედლები იყო. რადეცკიმ მეორედ ჩამოაგდო ლაპარაკი შერიგებაზე, მაგრამ მილანელებმა კიდევ უარი შეუთვალეს. 22 მარტს საღამოთი მებრძოლთ აიღეს პორტა-ტოზა და გალავნის კარებიდან შეუშვეს სხვა ქალაქებიდან მოსული მებრძოლნი.

რადეცკი სავსებით დამარცხდა. იმავე დღეს იკადრა გენერალმა თავის აწიოკებულ ჯარით ქალაქს გარედ წასვლა. ის იყო მზე უნდა ჩასულიყო, როდესაც განთავისუფლებულ მილანის სობოროს გუმბათზე იტალიის სამფეროვანი დროშა აფრიალდა. ასრულდა ის, რასაც არავინ დაიჯერებდა ხუთის დღის წინად: გაუწვრთნელმა, უიარაღო, თოფ წამლის არ მქონე ხალხმა სავსებით სძლია გაწვრთნილ ჯარს, რომელსაც უფროსობდა ისეთი გამოცდილი სარდალი, როგორიც იყო მარშალი რადეცკი. ოფიციალურ მოხსენებაში რადეცკი ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ ბრძოლის დროს მილანის ქუჩებში ოთხი ათასი კაცი დავკარგეო.

სწორედ ამავე დროს ვენეციაში რესპუბლიკა იქმნა გამოცხადებული.

ი. ა—ძე

ლაქის სავაჭრო შენობების შეკეთება-გაფართოებისა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ. ამ უკანასკნელისათვის ბ-ნ გულშამბაროვს 3 ათასი ცალი წიგნი და 1500 მანეთი აღუთქვამს.

ყოველივე ეს და განსაკუთრებით წიგნთ-საცავის დაარსება მეტად სიმპატიური საქმეა ქალაქისათვის.

ჩვენ გვიამბეს, რომ 3 ივნისს მდ. ლიახვში დაიხრჩო ერთი ხანდაკელი მეტივე, რომელსაც ცხინვალიდან წამოღებული ტივი დაშლოდა მდინარეში. მიცვალებული გრაკლამდი სხვა ტივით წაიღეს ს. ხანდაკში წასასვენებლად.

სანდო პირმა გადმოგვცა შემდეგი ამბავი: 3 ივნისა ხაშურში მოვაჭრე ბერძენს, სურამიდან მომავალს, გზაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველი დახვდა, ესროლა რევოლვერი და შემდეგ ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა რამდენიმე ალაგას. ვაჭარი იქვე მომკვდარა, ხოლო მკვლელს ოციოდ თუმანი ამოუცლია და მიმალულა. მკვლელის ვინაობა არ იციან.

3 ივნისს მსუბუქად დასჭრეს მარჯვენა ხელში რევოლვერით გორის ჟანდარმი ნ. რუსიკოვი. ვინაობა დამჭრელისა და მიზეზი მოქმედებისა არა სჩანს. ზოგიერთების სიტყვით, ჟანდარმს თვითონვე მოურტყამს რევოლვერი გაუფრთხილებლობით.

4 ივნისს ერთ გორელ ებრაელ ხელოსანს (მესაათე) თავის სტუმრებითა და ოჯახობით ატენის ხეობისაკენ გაუსეირნიათ იქაურობის დასათვალიერებლად. გზაში შემოღამებიათ. ამათ გასჩენიათ ვიღაც სტუმართ მოყვარე მასპინძლები, მამაკაცები, ლაზათიანად შეუხურებიათ (ღვინით და არა—მუშტებით) და სამი ქალი ხეობაში მიუპატიჟნიათ. შეშინებული კავალრები გორში გამოქცეულან და პოლიციისათვის უცნობებიათ. ქალები უვნებლად წამოუყვანიათ, ხოლო გულკეთილი მასპინძლები ვეღარ უპოვნიათ, რომ მადლობა გამოეცხადებინათ.

აქაური.

—

დ. ზუგდიდი. ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღეს ზუგდიდის ნოქრებმაც და თავიანთი მოთხოვნა წარუდგინეს, ვისაც ჯერ არს. მოთხოვნა შეიცავდა მხოლოდ ორ მუხლს: 1. კვირა-უქმეებში დუქნების დაკეტვა და ნოქრების მთელის დღით განთავისუფლება, და 2. საქმის დღეებში კარების გაღება დილის რვა საათზედ და დაკეტვაც საღამოს რვა საათზე. 29 მაისს მაზრის უფროსმაც მიიწვია ნოქრებიც და დუქნის პატრონები და სთხოვა, გამოეთქვათ თავიანთი სურვილი. ნოქრებმა ბიქტორ ჯღამაიას პირით მოითხოვეს მაზრის უფროსთან საუბარი „ხაზიაინების“ დაუსწრებლად. მაზრის უფროსიც დასთანხმდა და ცალკე გავიდნენ. ნოქარმა უთხრა მაზრის უფროსს: ჩვენ მივიღეთ მხედველობაში ზუგდიდის ვაჭრების მდგომარეობა და ამიტომაც წვრილმან საქმეს არ გამოვუდექით და ვთხოულობთ მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში კარების დაკეტვას, რათა ჩვენც შეგვეძლოს ეკლესიაში წასვლა და შემდეგ ნათესავ-მშობლებთან მისვლა. ბევრი ისეთი ნოქარიც არის, რომელიც თხუთმეტი წელიწადი ეკლესიაში არ ყოფილა. მუდამ დუქანში ზის და მერე ნესტიან დუქანშიო. მაზრის უფროსმა სამართლიანად სცნო ნოქრების მოთხოვნა და დაჰპირდა დახმარებას.

აქაური.

პატარა-ონი (რაჭა). პატარა-ონის საზოგადოებაში 22 მაისს მოვიდა ამბრალაურის ბოქაული, რომელსაც უნდა დაეთანხმებინა საზოგადოება, დამწვარი კანცელარია აეშენებინა და ხარჯები გაეწერა. ხალხი, როგორც ვიცით, უარს ამბობდა. მოსვლისათანავე ბოქაულმა შეამჩნია ზოგიერთი იარაღი და წამსვე ჩამოართვა. ეს საზოგადოებამ შეურაცხყოფად მიიღო და მოსთხოვა ბოქაულს იარაღის დაბრუნება. ბოქაულმა უარი განაცხადა. თავის მხრივ ხალხმაც უარი განაცხადა ხარჯის გაწერაზე, სანამ იარაღს არ დააბრუნებდა. სწორედ იმ დროს, როცა ხალხი აღელვებული იყო, წარუდგა ბოქაულს ი. გაგოშიძე და უთხრა, ნება მიბოძეთ, ვისაც იარაღი შევამჩნიო, დავიჭიროო. აღელვებულმა ხალხმა გაიყვანა გვერდზე გოგიშიძე და დაუწყო ცემა. ბევრს ეცადნენ გავლენიანი პირები და ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს. ბოქაულმა ამ ინციდენტის შემდეგ დააბრუნა იარაღი. შემდეგ ხალხმა მოილაპარაკა და წარუდგინა ბოქაულს წერილობით შემდეგი მოთხოვნები: 1. კანცელარიის აშენება გადაედვა შემოდგომამდი და მანამდი მისცეს სკოლის შენობა, რომელიც ახალ-გაზაფხულიდან თავისუფალია მოწაფეების გაფიცვის გამო; 2. ყოველ გვარ გადასახადის მოკრება შეჩერდეს შემოდგომამდის (მხოლოდ აირჩიეს ერთი მწერალი და ერთი ჩაფარი); 3. დაბრუნება მაღაზიის ფულისა, რადგან მისი დანიშნულება ის არის, რომ ხალხს შიმშილობის დროს შემწეობა აღმოუჩინოს. ბოქაული შეჰპირდა საზოგადოებას, მაზრის უფროსს წარუდგენ ამ მოთხოვნილებასაო, მხოლოდ ევედრებოდა მის შეწყნარებას.

დ.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძეთ გამოვაცხადოთ მკითხველთა საყურადღებოდ ის პირობები, რომლებზედაც დავეთანხმეთ გლეხებს და ჩამოვაგდეთ კეთილ განწყობილება გლეხებთან ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერ თავადებმა. ეს პირობები არის შემდეგი:

1. მიეცეთ გლეხებს ნადელები სრულ საკუთრებად;
2. თავადების საკუთარ სახნავ მამულებზე, რომლებსაც გლეხი თავადის ნებაყოფლობით შემუშავებს, მიწის შემმუშავებელს გამოერთვას ღალად მეათედი შემოსავლისა;
3. გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად სარგებლობა ქვიშით, ქვითა და ნარიეთ;
4. საძოვრები იყვეს საქონლისათვის უსასყიდლოდ.
5. გლეხებს ნება ჰქონდეთ ტყიდან უფასოდ გამოზიდონ მასალა თავის სახლის საჭიროებისათვის.

თ. ვასილ მიხეილის ძე მაჩაბელი, თ. სვიმონ მაჩაბელი, თ. კონსტანტინე ზურაბის ძე მაჩაბელი, თ. გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი, თ. ივანე ზურაბის ძე მაჩაბელი, აზ. ნიკოლოზ მიხეილის ძე ბრიძელი.

II

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ ქვემორე, ამის ხელის მომწერნი ტფილისის რკინის-გზის სახელოსნოს მუშები, გწუხვართ ამ უკანასკნელ და გაჭირვებულ დროს ისეთის ძვირფასის, გულკეთილის და ხალხის მოამაგე ადამიანის დაკარგვას, როგორიც იყო მიშე გედევანი. ახალგაზრდა მიშე შეეწირა მსხვერპლად სახალხო საქმეს. იცოდნენ იმის სისხლის დამქცევლებმა, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, მუდამ ზიზღს გაუცხადებს მათ. ვგმობთ მათ საქციელს.

ვასილ კენჭაძე, ვასილ ცხვირაშვილი, ილია ქელიძე, სპირიდონ ვაწაძე, დალოსტი ახვლედიანი, გიორგი ბაბუკიანი, ოქროპირ ჯოხანელიძე, თედორე გაგუაშიძე, კოსტა ქელიძე, სამსონ ჩიხლაძე, კოსტა შავლაძე, ზაქარ ქელიძე, ექვთიმე შავლაძე, გალაქტიონ ქელიძე, დარისპან ვაწაძე, სიმონ ენუქიძე, სანდრო კევლიშვილი, სიმონ მოწონელიძე, მელიტონ მემანიშვილი, ყარამან კოპალეიშვილი, თენგიზ კახიანი, თეოფანე ლორთქიფანიძე, ვლადიმერ ბუაძე, ივანე ბაქანიძე, ნიკიფორე ბურჭულაძე, არსენ ჩაიაშვილი, კოტე დეკანოზიშვილი, ალექსი ავსაჯანოვი, ვალერიან აბზიანიძე, გაბრიელ ოძელაშვილი, ალექსი ქობულაშვილი, ნიკალაი თაქთაქიშვილი, ვასილ რაკვიაშვილი, არშაკ პაპაშვილი, ვასო ხუბულური, გიორგი კურხული, ამბაკო იბოლიძე, ვლადიმერ აკოფოვი, ანდრია ვეჩერაძე, ალექსი ჯომარდიძე, გიორგი ტორონჯაძე, იოსებ კალაძე, დიმიტრი კალაძე, პარმენ როსტაშვილი, გერასიმე შილაკაძე, გიორგი ნინიძე, ნიკოლაი მეზვრიშვილი, იოსებ ღვალაძე, ნაპოლეონ კახიანი, ვანო ქორყოლიანი, გიორგი შალუტაშვილი, ეფრემ ცოტნიაშვილი, ლუკა ქელიძე, ვლადიმერ კერესელიძე, მინა კერესელიძე, ლევანტი კობახიძე, მინა გურგენიძე, ალექსი სოფრომაძე, მეთოდე მოწონელიძე, გაბრიელ გოგნაძე, სოკრატი მოწონელიძე, ნესტორ მოწონელიძე, ვასილ ვაწაძე, ბარნაბ მეტონიძე, კოლა ბენდუქიძე, თევდორე წეროძე, ლავრენტი ბოჭორიშვილი, დიმიტრი ბოჭორიშვილი, ტატო ქვრივიშვილი, გიგა კონიაშვილი, სოლომონ მებსტვირიშვილი, სანდრო ფურცელაძე, სანდრო დავითაშვილი, მაკრო ჯავახი, იაგორა ჯავახი, იესე მერაბაშვილი, იოსებ გიგიაძე, ვასილ ქარბაძე, გარეგინ ეგიევი, იაგორა აკოფაშვილი, თეოფანე თევზაძე, ვანო ავსაჯანოვი, ნიკოლაი ჩაჩაშვილი; ნიკოლაი მაისურაძე, ანდრია ცაბალოვი, ალექსი გურგენიძე, მიხა გაბუნაძე, სიმონ ღუდუშაური, ლევან ავსაჯანოვი, გიორგი ქელიძე, ვასილ ხოჯავა, ვარლამ გაბუნია, დიმიტრი ხოჯავა, იოსებ ხმელიძე, ივანე ბერაძე, ივანე მოწონელიძე, ამბაკო ბურჭულაძე, ისაკა გოჩიაშვილი, დავით ნარიმანიშვილი. *)

---

*) სულ ამ სიაზე ასს კაცს უწერია ხელი. მომტანთ გადმოგვცეს, რომ რკინის გზის სახელოსნოს დარჩენი მუშებიც ჩვენი თანამოზიარები არიანო.

რედ.

III

ბ-ნო რედაქტორო!

ჩვენ, გორის მაზრის სოფ. საკორინთლოს და ახალშენას მცხოვრებნი, შევიკრიბენით მომავალ დღეობის მოსალაპარაკებლად და განვიხილეთ რა, თუ როგორი მავნებელი და საზარალოა ხოლმე ჩვენთვის ეს დღეობა, ერთხმად დავადგინეთ: მოვსპოთ ამიერიდან დღეობა „მაცხოვრობა“, რომელიც ორშაბათს, 13 ივნისს იცის. გარდა ამისა ვუცხადებთ ყველა ჩვენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამ დღეს არავითარი სამზადისი და წვეულობა არ გვექნება და ვერც სტუმრებს მივიღებთ: ვინც ჩვენ დადგენილებას არ შეასრულებს, იგი დაჯარიმებულ იქნება სოფლის სასარგებლოდ თუმნით მასპინძელი და ხუთი მანეთით სტუმარი. შევნიშნავთ, რომ აქაურმა აზნაურებმა არ უღალატეს თავიანთ ძველ მამა-პაპურ ჩვეულებას და არ მიემხრნენ ამ ჩვენ დადგენილებას.

ხელს ვაწერთ: ნიკო აბრამიშვილი, დიმიტრი ფანჯარაშვილი, გიგა კარბელაშვილი, ილო კონიაშვილი, ანტონ ტურაშვილი, მაქსი ბოლათაშვილი, გიორგი ქოზაშვილი, ივანე ივანიძე და სხვანი. **)

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ივნისი

პარიზი, 9 ივნისი. ზოგიერთ ფასიან ქაღალდების კურსის დაცემამ განცვიფრება გამოიწვია დეპუტატთა პალატაში. კითხვა აღიძრა, რამე გარეშე ამბებით ხომ არა ეს გამოწვეული. რუვიემ განაცხადა, პესიმისტურ ხმებს არა აქვთ რეალური ნიადაგიო. საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკება ნორმალურად სწარმოებს. ჰფიქრობენ, რუვიეს ნოტას ოფიციოზურად გააცნობენ ყველა სახელმწიფოებსო.

ოდესა. 17 ივნისს სავაჭრო განყოფილების მმართველის ფედოროვის თავმჯდომარეობით გაიმართება რჩევა სამხრეთის ყველა საბირჟო კომიტეტებისა ოდესიდან ხორბლის გატანაზე თვალ-ყურის დევნების საკითხის მოსაწყობად.

სახალინი, 3 ივნისი. მშრალი, და ცხელი დარი დგას. ტყეებს ცეცხლი ეკიდება. მკვიდრნი მატერიკისკენ მიიწევიან.

ცარსკოე სელო, 10 ივნისი. პეტერბურგის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია დიდი საქმე 1904 წ. ივნისში [illegible] ქალის მიერ თავის თანამცხოვრებლის მინსკის საგანგებო პალატის მმართველის სტრახოვის მოკვლის შესახებ; ბრალდებული გაამართლეს ნაფიც მსაჯულთ.

ხარკოვი, 9 ივნისი. დღევანდელ სხდომაზე საბჭომ გადასწყვიტა, დაბეჭდონ 6 ივნისს ხელმწიფის მიერ ერობათა და ქალაქების წარმომადგენლებისადმი მიმართული სიტყვა და გაავრცელონ მცხოვრებთა შორის. შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა სამი ხმოსნის გაგზავნა მოსკოვში ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდში მონაწილეობის მისაღებად.

პეტერბურგი, 9 ივნისი. შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკს ადმ. ალექსეევს უმაღლესად ებრძანა იყვეს სახელმწიფო საბჭოს წევრად; ამასთან იგი დათხოვნილია ნამესტნიკის თანამდებობიდან და რჩება გენ. ადიუტანტად. შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა გაზეთი „რუს“-ი ერთის თვით.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ივნისი

პეტერბურგი, 9 ივნისი. ოფიციალური ცნობები შორეულ-აღმოსავლეთიდან არ მიგვიღია.

ლონდონი, 9 ივნისი. გამოქვეყნდა „ლურჯი წიგნი“ კიტჩენერის მიერ წარდგენილ რეფორმების შესახებ; ეს რეფორმები ინდოეთის სამხედრო ადმინისტრაციაში უნდა მოხდეს. პირველად მეფის თანაშემწის მთავრობა წინააღმდეგი იყო კიტჩენერის პროექტისა, მაგრამ ლონდონის მთავრობამ ყოველ მხრივ მოიწონა იგი. კიტჩენერი შემდეგის სახით ასაბუთებს თავის რეფორმებს: ინდოეთის წინანდელი მდგომარეობა აღარ [illegible], რაც გამოსადეგი იყო განცალკევების გამო; წინად შინაურ აჯანყებისა და გარეშე ბრბოების თავდასხმის წინააღმდეგ, უნდა გვებრძოლნა ეხლა-კი შუაგულ აზიაში ევროპის ერთის დიდის სახელმწიფოს წესდობით მისწვდომი გზებ და გადაჭრილი რკინის გზებით, რომელთა დანიშნულებაზე არ შეიძლება ორგვარი აზრი იქონიოს კაცმა. ინგლისს სრული საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ჩრდილოეთის მეზობელი ყოველ-მხრივ ემზადება ბრძოლისთვის, რომელიც მომავალში მისის არსებობის საკითხს გადასწყვეტს და მაშინ ინგლისი იძულებული გახდება იბრძოლოს იმ ძალთა დახმარებით, რომელნიც ხელში ექნება მას; მაშინ კი გვიანღა იქნება რეფორმების შემოღება.—„აკმაყოფილებს კია აწინდელი სამხედრო სისტემა ინდოეთისა მძიმე მოთხოვნებს, რომელნიც თავს წამოუყენენ? მე სიხარულით გიპასუხებდით „კი“—მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ „არა“.“

სიმლა. სარწმუნო წყაროდან ვიცით, რომ გენ. ელლისი, ახლანდელი სამხედრო წევრი მეფის თანაშემწის საბჭოსი, სამსახურს თავს ანებებს. ბროდრიკი დასთანხმდა დაითხოვნაზე პირველ ოქტომბრიდან ახ. სტილ.

**) განაჩენზე ხელი უწერია 648 კაცს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსაცემი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 ივნისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	87¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	401
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	269¼
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	195½

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1 სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2 ნაძალადევში, ვოლოპროვიდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3 ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, იქვე არის ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გოლბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 47 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—2)

ქ. ბათუმში
ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში
წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კავერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კონვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—14)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსაწერი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე. (20—9)

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებითა (6—4)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პოლიტიკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახანახი. მ. კ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—50
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნჭულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პეტრესი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ყვანჩუღლოვისა	1 —

ტფილისის **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—14)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—5)

Доз. цен. Тифлисъ, 10 Іюня 1905 г.

печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა